საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტროს
საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ა. ყაზბეგის გამზ. 12, 0160, თბილისი, საქართველო

The Roads Department of the Ministery of Regional
Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI)
12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160 Georgia

სს „ინსტიტუტი იგჰ“, საქართველოს ფილიალი
ჭავჭავაძის გამზ. # 33-ე, 0179 თბილისი, საქართველო

JSC Institute IGH, Georgia branch
Chavchavadze Ave. # 33-e 0179 Tbilisi, Georgia

ზემო იმერეთი-რაჭის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობა-რეკონსტრუქციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისა და საჭიროების შემთხვევაში ალტერნატიული მიმართულებების ანალიზის და მომსახურების გაწევა

ლოტი III

საჩხერე-ქვემო ხევი-უზუნთა შქმერი-ზუდალის მონაკვეთის კმ 10.6 - კმ 20.6 მშენებლობა

ტომი VI

არქეოლოგიისა და არქიტექტურის ძეგლების კვლევის ანგარიში

თბილისი 2018

საქართველოს არქეოლოგიური ასოციაცია

ზემოიმერეთი–რაჭის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობა-რეკონსტრუქციისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე არქეოლოგიისა და არქიტექტურის ძეგლების გამოვლენისა და დაფიქსირების მიზნით საველე პირობებში ჩატარებული

კვლევის ანგარიში



ტექნიკური ინფორმაცია:

საძიებო სამუშაოები ჩატარდა სპეციალიზირებული სამეცნიერო ჯგუფის მიერ.

შემადგენლობა:

მ. ძნელაძე – ხელმძღვანელი

ვ. სადრაძე – არქეოლოგი

ლ.ახალაია - არქეოლოგი -კონსულტანტი

ბ. კუპრეიშვილი –ისტორიკოსი , ძეგლთა

დაცვის სპეციალისტი

ანგარიშში კულტურული მემკვიდროების ნაშთები და რეკომენდაციები წარმოდგენილია კონტრაქტების შესაბამისად.

კვლევა ჩატარდა კონტრაქტებით გათვალისწინებულ პუნქტებში

ზემო იმერეთი - რაჭის დამაკავშირებელი გზის მშენებლობისა და რეკონსტრუქციისთვის გამოყოფილი ტერიტორიის საველე და კამერალური სამუშაოები ჩატარდა ერთი მხრიდან - საჩხერე, სარეკი, ქვემოხევი, უზუნთა და ქვემო თორის, ხოლო მეორე მხრიდან – ონის მუნიციპალიტეტისკენ: ხარისთვალი, შქმერი, უზუნთა, ბოყვა კვაშხიეთი, ზუდალის ტერიტორიებზე.

რეგიონის ისტორიული მიმოხილვა:

ზემო იმერეთი – რაჭა როგორც დასავლეთ საქართველოს უძველესი ისტორიული კუთხეები დაყურსულია ჩვენი წინაპრების კულტურული მემკვიდრეობის ნაშთებით.

საჩხერე – ქალაქი ზემო იმერეთში აღსანიშნავია, რომ ქალაქის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ XIX ს-ში დასტურდება პრეისტორიული ხანის ძეგლების შემთხვევითი აღმოჩენები. აკაკი წერეთლის ძმის აქტიური ჩარევით 1910 წელს ე.თაყაიშვილი გათხრებს აწარმოებს. შემდგომში 1939-1946 წწ. ბ.კუფტინი, 1955 წელს ო.ჯაფარიძე, 1966-1968 წწ. ჯ.ნადირაძე და სხვ.

ამჟამად შესწავლილია ნაჩერქეზევის ადრებრინჯაოს ხანის ძეგლები: დუნთაში, ჟალიეთსა და პერევში გვიანბრინჯაოს ხანის განძები და ნამოსახლარი. სოფელ გორაძირში, ჩიხაში, არგვეთში, ჯალაურთასა და კორბოულის ანტიკური და ელინისტური ხანის კულტურული მემკვიდრეობის ნაშთები [ჯ.ნადირაძე, ქსე, ტ.9, გვ.212, თბ., 1985]. ისტორიული ეპოქის ქ.საჩხერეს შესახებ წერილობითი წყაროები მოგვითხრობენ: ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსი“ [ქც.4, გვ.449]. ბერი ეგნატაშვილი „ახალი ქართლის ცხოვრება“ [ქც. 2, გვ.442]. იოჰან გულდენშტედი „მოგზაურობა საქართველოში“ [გულდენშტედი, 1962, გვ.299-301] და სხვ.

გვიან შუასაუკუნეებში საჩხერე წერეთლების სათავადოს ცენტრს წარმოადგენდა, თუმცა შედარებით ადრე XII-XIII სს. რაჭის ერისთავთა სამფლობელოში შედიოდა. საჩხერე მრავალი ისტორიული მოვლენების თვითმხილველი და აქტიური მონაწილე იყო. იქ ხვდებოდნენ ერთმანეთს ქართლ-კახეთისა – თეიმურაზ I (1606-1648), ლუარსაბ II (1606-1614) და იმერეთის – გიორგი III (1605-1639) მეფეები. იქ აფარებდნენ თავს დევნილი იმერეთის მეფე სოლომონ I (1752-1784) და სოლომონ II (1789-1801).

სარეკი–საჩხერის მუნიციპალიტეტის თემში შედიან სოფლები: ქვემო ხევი და ბაჯითი. მდებარეობს მდინარეების ყვირილასა და ჯრუჭულას შესაყარში, საჩხერიდან 4 კმ. დაშორებით. პრეისტორიული ხანის ძეგლებიდან ცნობილია ზედაპალეოლითური ნაბინავარი ე.წ. „სარეკის ეხი“. არსებული ინფორმაციით,

წყაროებში, სოფელი პირველად XVII საუკუნიდან იხსენიება. შემორჩენილია XIX საუკუნის „დედაღვთის“ სახელობის ტაძარი [ჟურნალი „კარიბჭე“, №1 (166), გვ.50, 2011, ქსე, IX, გვ. 103].

შოფელი უზუნთა ხელმეორედ XX საუკუნის 40-იან წლების შემდგომ დასახლდა. სოფელი საჩხერედან 22 კილომეტრითაა დაშორებული. ინფორმაციის საფუძველზე დასახლებას 2011 წლიდან სოფლის სტატუსი მიენიჭა [ქსე, ტ.X, გვ.103, თბ., 1985]. უზუნთას გააჩნია მაღალი ტურისტული პოტენციალი, რადგან ამ სოფლის გავლით შეიძლება რაჭისკენ ტურისტული ჯგუფების მოძრაობა.

ქ.ამბროლაური ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „რიონს სამხრეთ და კრიხულის აღმოსავლეთით, ამბროლაურს, ყოფილა სასახლე აწინდელთა მეფეთა“ [ქ.ც. 4, 763, 18; ქ. ც. ტლექ. თბ., 2013]. ქალაქი გამართულია მდ.რიონისა და კრიხულის შესართავში, აღსანიშნავია, რომ ა.ივლიევს აღწერილ-ჩამოთვლილი აქვს საქართველოს სამეფოს ციხე-დარბაზები, რომელთა შორის ღირსეული ადგილი ამბროლაურის სამეფო რეზიდენციას ეკავა [ქართლის ცხოვრების ტოპარქ. ლექსიკონი, 2013, გვ.30]. ამჟამად ამბროლაურში ადრეარსებული იმერეთის მეფეთა რეზიდენცია მიწისქვეშაა მოქცეული და გამთხრელს ელოდება.

ზოგადად, ადრე შუასაუკუნეებში ამბროლაური ისტორიული თაკუერის ზეგავლენის ქვეშ იყო მოქცეული და რაჭის საერისთავოს ჩამოყალიბებისთანავე (XI ს.) კახაბერიძეების სამფლობელოში მოექცა. შედარებით გვიან (XV ს.) ერისთაობა ჭარელიძეების საგვარეულოს ებოძა. ბოლოს 1489 წელს რაჭის საერისთაო იმერეთის სამეფომ შეიერთა. ქ.ამბროლაური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის თვალსაზრისით ნაკლებადაა შესწავლილი [ბერიძე, 1973, 132-153; 1984, 99-100].

საპროექტო ტერიტორიის კვლევა.

პროექტი ზემო იმერეთისა და რაჭის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა იწყება საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფ. სარეკიდან (კოორდინატები:X-366666; Y – 4687633), რომელიც სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მიემართება. გზა ასფალტირებულია, სოფ.სარეკში გაუვლის გალავანშემოვლებულ სასაფლაოს, სადაც დგას გვიანი პერიოდის დარბაზული ეკლესია. გზა თითქმის რეაბილიტირებულია, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები აღნიშნულ ძეგლზე უარყოფით ზემოქმედებას ვერ მოახდენს. სოფ. სარეკის ბოლოდან ხრეშიანი გზა მიემართება სოფ. ქვემო ხევისკენ, ჩაუვლის აღმოსავლეთიდან, გადადის მდ.ჯრუჭზე და ხეობით სოფ. ქვემო უზუნისკენ მიემართება, გადადის მცირე ზომის რკინის ხიდს და ხევის მეორე მხარეს, შემაღლებულ ადგილზე მოჩანს 1991 წლის მიწისძვრის დროს დაზიანებული ჯრუჭის სამონასტრო კომპლექსი. აღნიშნული ხეობით სარეაბილიტაციო გზა სოფ. უზუნთას დასაწყისში გაუვლის ძველ სასაფლაოს, რომლის ტერიტორიაზეც ნაეკლესიარზე ახლადაშენებული დარბაზული ეკლესია (კოორდინატები: X - 366327; Y – 4697647) არის აღმართული. აღნიშნულ ეკლესიაზე გზის პროექტით გათვალისწინებული სამუშაო უარყოფით ზემოქმედებას ვერ მოახდენს, რადგანაც იგი გზიდან დაახლოებით 90 მ-ით არის დაცილებული. აქედან, გზა მიემართება ხიხამთისკენ, საიდანაც გადასვლა ხდება ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფ. ხარისთვალში. შემდეგ, ჩრდილოეთით ჩაუვლის სოფ. უზულთას და სოფ. ბოყვაში გზის მარჯვენა მხარეს შემაღლებულ ბორცვზე, საკმაოდ მაღალ და ძველ ხეების გარემოცვაში, მოქცეულია მთავარანგელოზის სახელზე აშენებული დარბაზული ეკლესია (კოორდინატები: X-368260; Y- 4709601). ეკლესიაზე, გეორგარფიული მდებარეობიდან გამომდინარე, გზის სარეაბილიტაციო პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები უარყოფით ზემოქმედებას ვერ მოახდენს. ამავე სოფელში მთავარანგელოზის ეკლესიიდან დაახლოებით 800 მ-ში გზის მარჯვენა მხარეს არის „გორგოლას“ ეკლესიის ნანგრევები (კოორდინატები: X- 320294; Y- 4724143); აუცილებელია ძეგლზე ჩატარდეს გაწმენდითი და არქეოლოგიური სამუშაოები, რათა რეალურად დადგინდეს მისი გეგმა. ვიზუალური დათვალიერებით ირკვევა, რომ ეკლესიის მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილია შემორჩენილი ე.წ. აბსიდი. შემდგომ, გზა მიემართება სოფ. კვაშხიეთისკენ და ჩადის ზემო იმერეთ-რაჭის დამაკავშირებელი გზის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის ბოლო სოფელ ზუდალაში (კოორდინატები: X- 367105; Y- 4714552).

აღნიშნულიდან გამომდინარე კონტრაქტი 2-17, რომელიც მოიცავს იმერეთ-რაჭის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო - სარეკონსტრუქციო პროექტით შერჩეულ ტერიტორიას, მხოლოდ სოფელ ბოყვში მდებარე

„გორგოლას“ ნაეკლესიარი იმყოფება უარყოფითი ზემოქმედების რისკის ქვეშ. დანარჩენ არქიტექტურის ძეგლებზე პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება უარყოფით ზეგავლენას ვერ მოახდენს. იმ შემთხვევაში თუ გათვალისწინებული იქნება ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოყვას “გორგოლას” ნაეკლესიარზე ჩვენი რეკომენდაციები, მაშინ კონტრაქტ 2-17 -ში შემავალი გზის რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციისთვის პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება დასაშვებად მიგვაჩნია.

გამოყენებულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივში დაცული მასალები.

რეკომენდაცია:

1. ონის რაიონის სოფელ ბოყვას “გორგოლას” ნაეკლესიარზე (კოორდინატები: X- 320294; Y- 4724143) აუცილებელია არქეოლოგიური და არქიტექტორული კვლევის ჩატარება
2. 2-17 კონტრქტის დანარჩენ ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების ჩატარება დასაშვებად მიგვაჩნია.
3. მიწის სამუშაოების პროცესში არქეოლოგიური ძეგლის დადასტურების შემთხვევაში დამკვეთი ვალდებულია, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კანონის შესაბამისად, უზრუნველყოს ძეგლის გადაუდებელი შესწავლა.

სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელი

პროფ. მ.ძნელაძე -

პრეისტორიული არქეოლოგიის სპეციალისტი

ი.მ.დ. ვ.სადრაძე -

დაცვის სპეციალისტი

ისტორიკოსი ბ.კუპრეიშვილი -

სარეკი

HYUNDAI

ZUDALI
KVASHXIETI
SEVA
SHKMERI
KREITI

კონტრაქტი 2 -17
პროექტის მომზადება ზემო იმერეთი - რაჭის დამაკავშირებელი გზის მშენებლობისა და რეკონსტრუქციისთვის





<u>გზები:</u>

სარეაბილიტაციო გზები	- 31.5 კმ ასფალტის გზა
ახალი გზები	- 18.0 კმ ასფალტის გზა
<u>სამგზავრო დრო:</u>	- 1:21 სთ - სიჩქარე 30-40 კმ/სთ

<u>საინვესტიციო ღირებულება:</u>

- 66,1 მლნ ლარი
- 1.330.000 ლარი/კმ

<u>ხიდები:</u>	- 11 (სულ 325 მ)
<u>წყალგამტარი მილი:</u>	- 117 (სულ 1025 მ)

<u>გეოტექნიკური ნაგებობები:</u>
- 7.000 მ